



საქართველოს სოფლის მეცნიერების
მაცნეობრივათა აკადემია
**ACADEMY OF AGRICULTURAL
SCIENCE OF GEORGIA**

ცვლალი მოწევის განის გენერის
კულტივაციი ტექნიკოპური ჩარჩოთი
(რეკომენდაციები)



თბილისი - 2015

რეკომენდაცია დამუშავებულია პ. ამირაჯიბის მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტში 2008-2010 წლებში. მასში განხილულია ვენახის რიგთაშორისებში ნიადაგის დამუშავების ტექნოლოგია და შესაბამისი ტექნიკური საშუალება.

ვინაიდან რეკომენდაციები დამუშავდა უფრო ადრე, ვიდრე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კერძო ფირმების მიერ საზღვარგარეთის ტექნიკის შესყიდვა დაიწყებოდა (2KR-ის გარდა), მთელი რიგი სამანქანო ტექნოლოგიების ტექნიკური საშუალებები დღეს საქართველოში არ მოიპოვება; ქ. ოდესის სასაოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა დღესაც ამზადებს ვენახის შრომატევადი ტენოლოგიური პროცესების ტექნიკურ საშუალებებს, მაგრამ მათი შესყიდვა ფერმერებისათვის გარკვეულ პრობლემებს წარმოადგენს მანქანების მაღალი ღირებულებისა და სხვა ობიექტური მიზეზების გამო.

რეკომენდაციის გათვალისწინებით შესაძლებელია წარმოდგენილი ტექნიკური საშუალება დამზადდეს ნებისმიერ რაიონულ მექანიკურ სახელოსნოში შედარებით მცირე დანახარჯებით და იგი დაეხმარება იმ ფერმერებს, ფერმერთა კოოპერატივებს, დაინტერსებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომლებიც მევენახეობით არიან დაკავებული. მისი გამოყენება აგრეთვე სასარგებლო იქნება აგრარული მომართულების მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის.

რეკომენდაცია განხილული და მოწონებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე და რეკომენდებულია დასაბეჭდად.

რეკომენდაციის ავტორი: შალვა ლევსგერიძე – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

რედაქტორი: ელგუჯა შავაშიძე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი.



საქართველო, თბილისი,
0102, ივანე ჯავახიშვილის ქ.# 51.
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია.

www.gaas.dsl.ge

E-mail:acad.as@gaas.dsl.ge

Tel/Fax: (+995 32) 294 13 21


ცვლადი მოღების განის გენაცის პულტივატორი ტელესპონაციური ჩარჩოთი

მოუხედავად იმისა, რომ დღეისათვის შექმნილია მრავალი მარკის და მოდიფიკაციის ვენახის კულტივატორები სერიული ან საცდელი ნიმუშების სახით, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ისეთი სრულყოფილი კონსტრუქციის კულტივატორის შექმნა, რომელიც ერთი გავლით უზრუნველყოფს რიგთაშორისებში მთლიან დამუშავებას ვაზის და შპალერის დაუზიანებლად. ეს დაზიანებები განსაკუთრებით შეინიშნება 4-5 წლამდე ასაკის ვენახებში მუშაობისას, რადგან ვაზის სუსტი შტამპი ვერ უზრუნველყოფს საცავი ზოლების დასამუშავებელი მექანიზმების გამომრთველი ბერკეტების (ცეცების) ნორმალურ მუშაობას და კულტივატორის განაპირა თათები ხშირად იწვევს ვაზის შტამპის დაზიანებას და ზოგ შემთხვევაში ძირიანად მოჭრას. ასეთი დაზიანებების თავიდან აცილების მიზნით, ვენახის კულტივატორის კონსტრუქციები (რუსული წარმოების "პრვ-2,5", "პრვ-3" გერმანული წარმოების "პეგსაგონი", რუმინული წარმოების ფართო მოღების მქონე კულტივატორები, საქართველოს მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტში დამუშავებული სახსრული ტიპის კულტივატორები და ა.შ.) ისეა დამუშავებული, რომ აგრაგატი ვენახის რიგთაშორისებში მოძრაობისას დაუმუშავებელს ტოვებს 60 სმ სიგანის ე.წ. "საცავ ზოლს". ასეთი სიგანის "საცავი ზოლი" დადგენილია აგროტექნიკური მოთხოვნილების შესაბამისად იმ მოსაზრებით, რომ მუშაობის პროცესში ტრაქტორისტი ვერ უზრუნველყოფს აგრეგატის მოძრაობას რიგთაშორისის სიმეტრიის დერძის გასწვრივ, ის ხშირად გადადის სიმეტრიის დერძიდან ხან მარჯვენა, ხან მარცხენა მხარეს. შენიშნავს რა ტრაქტორისტი ამ მდგომარეობას, იგი ცდილობს შემოაბრუნოს აგრეგატი გარკვეული კუთხით და გაუსწოროს იგი სიმეტრიის დერძს აგრეგატის შემობრუნების მომენტში.


კულტივატორის განაპირა თათი შემოწერს გარკვეულ ტრაქტორიას, შეიჭრება საცავი ზოლის არეში და იწვევს ვაზის დაზიანებას.

ამ ანალიზიდან ჩანს, რომ თანამედროვე კონსტრუქციის ვენახის კულტივატორები მოითხოვენ შემდგომ კონსტრუქციულ სრულყოფას და დახვეწას. გამომდინარე აქედან ჩვენს მიერ დამუშავებულ იქნა ვენახის კულტივატორის ისეთი კონსტრუქცია, რომელმაც საშუალება მოგვცა დადგენილი 60 სმ სიგანის "საცავი ზოლი" შეგვემცირებინა, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს "საცავი ზოლის" საჭიროებას.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე დამუშავებული იქნა ვენახის რიგთაშორისებში ნიადაგის დამუშავების ახალი ტექნოლოგიური სქემა და ვენახის კულტივატორის უნივერსალური ჩარჩოს კონსტრუქცია, რომლის მიხედვითაც დამზადდა კულტივატორის საცდელი ნიმუშები. როგორც სქემიდან ჩანს (სურ.1) კონსტრუქციიდან გამორიცხულია სახსრული მექანიზმები, ჯაჭვური და ავტომატური ჰიდრო ამძრავები და გამომრთველები. კოლტივატორი აგრეგატირდება სავენახე ტრაქტორზე 1 (სურ.1). .მისი ძირითადი ნაწილებია: ჩარჩო 3 საკიდი სისტემით 2, კულტივატორის სამუშაო ორგანოები 4. კულტივატორი აგრეგატირდება სავენახე ტრაქტორზე და უზრუნველყოფს 2,0-2,5 მ სიგანის ვენახის რიგთაშორისებში ნიადაგის დამუშავებას. მოდების განის ცვლილების მიზნით ძირითადი ჩარჩო აღჭურვილია გამოსაწევი სექციებით 5. მცენარეთა დაზიანების გამორიცხვის მიზნით და სამუშაო ორგანოების ვაზის შტამპთან მის მაქსიმალურად მისაახლოებლად ტრაქტორის წინა მარჯვენა მხარეზე დამაგრებულია მოწყობილობა 3 (სურ 2.), რომლის დახმარებით ტრაქტორისტი უზრუნველყოფს აგრეგატის მოძრაობას ვენახის მწკრივის გასწვრივ. სამიზნებელი მოწყობილობა წარმოადგენს ტელესკოპიურ მილს, რომლის უძრავი ნაწილი 5 მაგრდება ტრაქტორის წინა ჩარჩოზე, ხოლო მოძრავი მილით 10 ხდება ვაზის შტამპთან დამაგრება ფიქსატორით 11.



სურ.1. პულტივატორის სქემა სამიზნებელი მოწყობილობით.



სურ. 2. სამიზნებელი მოწყობილობის სქემა

გაწყობილი აგრეგატი სამუშაოდ შედის რა რიგთაშორისში, სამიზნებელი მოწყობილობის გორგოლაჭი 14 ამოძრავებს მას ვაზების შტამბების გასწვრივ, რაც გამორიცხავს აგრეგატის სწორხაზობრივი სვლიდან გადასვლას და უზრუნველყოფს რიგთაშორისების ნულოვან ზღვრამდე დამუშავებას. როგორც სურათიდან ჩანს (სურ. 3) ასეთი ტექნოლოგიით მუშაობისას კულტივატორის გავლის შემდეგ ხდება რიგთაშორისების მთლიანი დამუშავება.



სურ. 3. ექსერიმენტული კულტივატორით დამუშავებული ვენახის რიგთაშორისების საერთო ხედი

კულტივატორის ჩარჩოს უნივერსალურობა საშუალებას იძლევა გარდა კულტივატორის თათებისა, მასზე დამონტაჟდეს 10-ზე მეტი სამუშაო მექანიზმი და მოწყობილობა სხვადასხვა ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად (სასუქის შემტანი აპარატები, სარწყავი კვლების გასაჭრელი და სახნავი კორპუსები, შეამჭიმიკატების შემასხურებელი, ფრეზული სამუშაო ორგანოები და სხვა).